5.1 კომპანია ვალდებულია, უზრუნველყოს სახელშეკრულებო საქონელი მწარმოებლის საგარანტიო პოლიტიკის შესაბამისი საგარანტიო მომსახურებით, იმ შემთხვევაში, თუ მყიდველის მიერ დაცული იქნა ექსპლუატაციის წესები;

5.2 საგარანტიო მომსახურება გულისხმობს დაზიანებული მოწყობილობის შეკეთებას ან შეცვლას იმავე მოწყობილობით;

5.3 დაუშვებელია აპარატურის გახსნა, ნებისმიერი ტიპის სამუშაოების ჩატარების მიზნით, კომპანიის წარმომადგენლის ან სპეციალური შეთანხმების გარეშე;

5.4 საგარანტიო მომსახურება არ შესრულდება, თუ საქონელს აქვს მექანიკური დაზიანება, ან შეცვლილია სერიული ნომერი, ან არ იკითხება მკაფიოდ, ან საერთოდ განადგურებულია.

6 ხელშეკრულების დარღვევა, რეკლამაცია, უთანხმოების გადაჭრა

6.1 მხარეები არ იღებენ ვალდებულებებს აუნაზღაურონ ერთმანეთს რაიმე ზარალი გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც ამ ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული;

6.2 სახელშეკრულებო საქონლის ასორტიმენტზე და რაოდენობაზე, ასევე მომსახურების არაჯეროვნად შესრულებაზე რეკლამაცია (პრეტენზია) კომპანიას წარედგინება მყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ სახელშეკრულებო საქონლის მიღებიდან 7 (შვიდი) დღის ვადაში;

6.3 კომპანია ვალდებულია რეკლამაცია (პრეტენზია) განიხილოს მისი მიღებიდან 7 (შვიდი) დღის ვადაში, თუ ამ ვადაში იგი არ უპასუხებს, რეკლამაცია (პრეტენზია) ჩაითვლება მიღებულად და აღიარებულად;

7 ფორს-მაჟორი

7.1 ფორს-მაჟორული მდგომარეობის შემთხვევაში მხარეები არ აგებენ პასუხს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ნაწილობრივ ან სრულად შეუსრულებლობაზე;

7.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული მდგომარეობა, ვალდებულია 10 (ათი) დღის ვადაში წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ფორს-მაჟორული მდგომარეობის დაწყების, საავარაუდო ხანგრძლივობისა და დამთავრების შესახებ;

8 ხელშეკრულების მოქმედების ვადა და პირობები

8.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ვალდებულებათა სრულად ამოწურვამდე;

8.2 ხელშეკროლება ძალაშია 09,082013 წლიდან 12,08,2013 წლამდე

9 დავათა გადაწყვეტა

9.1 მხარეთა შორის სადავო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში სადავო საკითხებს განიხილავს სასამართლო;

9.2 ორივე მხარე უფლებამოსილია, მოშალოს ეს ხელშეკრულება ურთიერთშეთანხმებით ან ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევების არსებობისას;

10 სხვა პირობები